საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
ასოციაცია მწვანე ალტერნატივა
საერთაშორისო გამჭირვალობა – საქართველო

პრესრელიზი

28 სექტემბერი – ინფორმაციის თავისუფლების საერთაშორისო დღე
მრგვალი მაგიდა
„გამჭირვალობა, ანგარიშვალდებულება და მონაწილეობა
დემოკრატიულ მხარდაჭერაში“

28 სექტემბერს, ინფორმაციის თავისუფლების საერთაშორისო დღეს, 14:00 საათზე, ქალაქ გორში, გაიმართება მრგვალი მაგიდა სახელწოდებით „გამჭირვალობა, ანგარიშვალდებულება და მონაწილეობა დემოკრატიულ მხარდაჭერაში“. მრგვალ მაგიდას აწყობენ **საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, ასოციაცია მწვანე ალტერნატივა და საერთაშორისო გამჭირვალობა – საქართველო.**

2008 წლის აგვისტოს ტრაგიკული მოვლენების შემდეგ საქართველოსთვის დახმარების გასაწევად საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები (მსოფლიო ბანკი, აზიის განვითარების ბანკი, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი, სავალუტო ფონდი), აგრეთვე ევროკავშირი, ამერიკის შეერთებული შტატები და სხვა დონორები მნიშვნელოვანი თანხების გამოყოფას გეგმავენ. ეს თანხები ქვეყანას ომის შედეგად მიღებული ზარალის შემცირებასა და შედგომ განვითარებაში მნიშვნელოვნად დაეხმარება, თუმცა, იმისთვის, რომ თანხები სწორად განაწილდეს, სწორად დაიხარჯოს და სწორი შედეგები მივიღოთ, აუცილებელია, რომ მათ პრიორიტეტებად გადანაწილებისა და განკარგვასთან დაკავშირებული პროცესები საჯაროობისა და მონაწილეობის პრინციპების დაცვით წარიმართოს.

ინფორმაციის თავისუფლება ფუნდამენტური უფლებაა. ნებისმიერ მოქალაქეს უნდა ჰქონდეს უფლება, მიიღოს ინფორმაცია გამოყოფილი დახმარებების შესახებ. მნიშვნელოვანია, რომ ამ დახმარებების განაწილება ხარჯვა საზოგადოების მონიტორინგის ქვეშ მიმდინარეობდეს. სწორედ ამ საკითხზე – საქართველოსთვის გამოყოფილი თანხების განკარგვის გამჭვირვალობის მექანიზმებზე იმსჯელებენ მრგვალი მაგიდის ორგანიზატორი და მონაწილე ორგანიზაციები.

ორგანიზატორი ორგანიზაციები ასევე გაავრცელებენ ერთობლივ **განცხადებას** ”საქართველოსთვის გამოყოფილი საერთაშორისო დახმარების პრიორიტეტების მიხედვით განაწილებისა და მათი განკარგვის გამჭირვალობის შესახებ”.

შეხვედრაზე მოწვეულნი არიან დიპლომატიური კორპუსის, საერთაშორისო ორგანიზაციების, ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მედიის წარმომადგენლები.

მრგვალი მაგიდა გაიმართება საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის გორის ოფისში, ქ. გორი, სტალინის ქ. №18/3,

ბეჭა კოკაია
საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური
მობ: (995 93) 964748
ტელ: (995 32) 952353
ფაქსი: (995 32) 923211
კრილოვის ქ. №15, 0102 თბილისი, საქართველო
pressenter@gyla.ge
www.gyla.ge

პროექტი ხორციელდება საქართველოში ევროს მისიის ფინანსური მხარდაჭერით